



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 78

2017 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო
კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების
დამტკიცების შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული
წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების
უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის თორნიკე
სხირტლაძის სამსახურებრივი ბარათის (N724417, 22.06.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო
ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის „პროექტის აბსტრაქტი“-ს ფორმა (მობილობის გრანტი) ამ
ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის თავფურცელის და აბსტრაქტის ფორმა
(საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის) ამ ბრძანების დანართი N3-ის
შესაბამისად;
5. დამტკიცდეს აპლიკანტის პროფესიული ავტობიოგრაფიის (CV) ფორმა (მობილობის
გრანტი) ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა (საერთაშორისო
სამეცნიერო ღონისძიებებისათვის) ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილე პროექტის თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფიის (CV), საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის, ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფიის (CV), საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის, ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა (მობილობის გრანტი) ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის) ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;

12. დამტკიცდეს კონკურსის საგრანტო პროექტის საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის) ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად.

13. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტში მონაწილე უცხოელი მეცნიერის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;

14. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და გეგმა-გრაფიკის ფორმა (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის) ამ ბრძანების დანართი N13-ის შესაბამისად;

15. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

16. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გრანტით
დაფინანსების პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობები არეგულირებს მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამართვის წესს, კონკურსში მონაწილეობის პირობებსა და მონიტორინგის საკითხებს.
2. საგრანტო კონკურსის მიზანია:
ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეეწყოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვასა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აგრეთვე, სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდა.
3. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს:
 - ა) მოკლევადიან ინდივიდუალურ ვიზიტს საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის (შემდგომში - მობილობა);
 - ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებას.
4. მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.
5. მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:
 - ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
 - ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;
 - გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
 - დ) აგრარული მეცნიერებები;
 - ე) სოციალური მეცნიერებები;
 - ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები;
 - ზ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილება

1. კონკურსის მთლიანი ბიუჯეტის 20 %-ით დაფინანსდება მობილობის გრანტები.
2. მობილობისთვის გამოყოფილი თანხის 1/3 ითვალისწინებს ახალგაზრდა მეცნიერების დაფინანსებას, ხოლო 2/3 განკუთვნილია სხვა დანარჩენი მეცნიერებისთვის.
3. კონკურსის მთლიანი ბიუჯეტის 80%-ით დაფინანსდება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტები.
4. საკონკურსო კომისია გასცემს რეკომენდაციას, რომლის მიხედვით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისთვის მოცემული თანხა გადანაწილდება კონფერენციებზე, სეზონურ სკოლებსა და

კომბინირებულ ღონისძიებებზე ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

5. კონკურსის პირობების მუხლი 1. პუნქტი 3. ქვეპუნქტ ა) და ბ)-სათვის გათვალისწინებული ბიუჯეტის არასრულად ათვისების შემთხვევაში, კომისიას აქვს უფლება, შემოსული პროექტების ხარისხზე დაყრდნობით, გადაანაწილოს გაუხარჯავი თანხა მობილობის გრანტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტებს შორის.

მუხლი 3. მობილობის გრანტის პირობები

1. მობილობა

ა) მობილობის გრანტი გულისხმობს საქართველოს მეცნიერთა მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტის დაფინანსებას საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის, მისი კვლევის შედეგად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომის წარდგენისა და საქართველოში განხორციელებული კვლევის შედეგების პოპულარიზაციის მიზნით.

ბ) მობილობა მიზნად ისახავს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას.

2. სუბიექტები

ა) მობილობის გრანტის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკურ პირს და საქართველოს მოქალაქე დოქტორანტურის, მაგისტრანტურის, რეზიდენტურის სტუდენტს;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს რამდენიმე თანაავტორი, ერთი და იმავე მოხსენებით ვიზიტის დასაფინანსებლად საკონკურსო განაცხადის შემოტანა შეუძლია მხოლოდ ერთ აპლიკანტს;

გ) განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის წარდგენა;

3. პირობები გამარჯვებული პირებისთვის

ა) მობილობის გრანტის გამარჯვებულებმა საზღვარგარეთ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე უნდა გააკეთონ ზეპირი ან სასტენდო მოხსენება;

ბ) მობილობის გრანტის გამარჯვებულებმა უნდა წარმოადგინონ პერსონალური მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისაგან და მოხსენების (ზეპირი, ან სასტენდო) პროგრამაში ჩასმის დადასტურების საბუთი, რომლის წარმოდგენის შემდგომ მოხდება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება და საგრანტო თანხის გადარიცხვა.

გ) მობილობის გრანტები გაიცემა საზღვარგარეთ იმ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც დაგეგმილია 2017 წლის 10 სექტემბრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

4. პროექტის დაფინანსება და ბიუჯეტი

ა) მობილობის გრანტის დაფინანსებით მონაწილეობის მიღება ვრცელდება:

- 1) კონფერენციაზე;
- 2) კონგრესზე;
- 3) ფორუმზე;
- 4) სიმპოზიუმზე;
- 5) სამუშაო შეხვედრაზე (სემინარი Workshop)

ბ) მობილობის ფარგლებში, ფონდის მიერ ერთი პროექტისთვის მაქსიმალური ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 2000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში;

გ) საკონკურსო განაცხადი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანადაფინანსების არსებობას;

დ) მობილობის გრანტი ითვალისწინებს საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

1) **ვიზის მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს**, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სავიზო მოსაკრებელს, სავიზო მომსახურების ცენტრის მომსახურების ხარჯებს, შესაბამისი საკონსულოს საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში, დოკუმენტაციის საზღვარგარეთ გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს;

2) **სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს**;

3) **მგზავრობის ხარჯებს**, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დანიშნულების ადგილამდე მისვლისთვის საჭირო ავიაბილეთის ხარჯს (მხოლოდ ეკონომ კლასს), მატარებლის, ავტობუსის ან/და სხვა სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობის ხარჯებს. აღნიშნული ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში არ ანაზღაურდება შიდა საქალაქო გადაადგილების ხარჯები.

4) **სარეგისტრაციო გადასახადს**, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ღონისძიებაში მონაწილეობის გადასახადს და ღონისძიების ფარგლებში სტატიის/აბსტრაქტის გამოქვეყნების ხარჯებს. სარეგისტრაციო გადასახადი შეიძლება მოიცავდეს კონფერენციის, კონგრესის წინა ღონისძიებაში (მოკლე სემინარის, ტრენინგის) მონაწილეობის ხარჯს, მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერთათვის. აღნიშნული ხარჯვითი კატეგორია არ გულისხმობს სამეცნიერო ორგანიზაციის წევრობის ხარჯებს;

5) **სადღელამისო ხარჯებს**, რომელიც დაიანგარიშება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის #231 ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღებს კვებით უზრუნველყოფს ღონისძიების ორგანიზატორი/მიმღები მხარე, ფონდის მიერ ანაზღაურდება ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადღელამისო ნორმის 30%;

6) **საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯებს**, რომელიც დაიანგარიშება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის #231 ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

ე) სადღელამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდება მხოლოდ კონფერენციაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების შესაბამისად, გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების ჩათვლით.

ვ) მობილობის გრანტის ფარგლებში არ ფინანსდება თანმხლები პირების სამგზავრო და სხვა ხარჯები, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი ტრანსპორტის ხარჯები (ტაქსი, ავტობუსი, მატარებელი), სამედიცინო დაზღვევა, საკომუნიკაციო (ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი) ხარჯები და, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი ხარჯი ამ მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული ხარჯების გარდა.

ზ) ხარჯები ფონდის მიერ მიზნობრივ ხარჯად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაწეულია კონკურსის გამოცხადების შემდგომ პერიოდში.

თ) ფონდი გრანტის მიმღებს ავანსად გადაურიცხავს პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი წილის 90 პროცენტს. გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშის ფონდში წარმოდგენის და ფონდის მიერ ანგარიშის განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე, მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

ა) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე: mgtravel@rustaveli.org.ge.

ბ) კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) **ნაწილი პირველი – პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტები:**

1. პროექტის თავფურცელი და აბსტრაქტი (არაუმეტეს 5000 სიტყვისა)
2. განმცხადებლის ბიოგრაფია (CV)

ბ) **ნაწილი მეორე – პროექტზე თანდართული დოკუმენტები:**

1. კონკურსის გამოცხადებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ჟურნალის/მონოგრაფიის სატიტულო გვერდი, სარჩევი ავტორის გვარის მითითებით, პუბლიკაციის/ნაშრომის პირველი და ბოლო გვერდები);
2. არაუმეტეს სამ სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დაიწყო კონკურსის გამოცხადების დღიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და

განმცხადებელი მონაწილეობდა/მონაწილეობს მასში ძირითადი პერსონალის სტატუსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3. მოქმედი პირადობის მოწმობა/პასპორტი;
4. მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა მაგისტრატურაში, რეზიდენტურაში, დოქტორანტურაში სწავლის შესახებ; უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს თან უნდა ერთვოდეს „ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ“ გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
5. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის შემდგომ, გრანტის მამიებელმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარადგინოს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 5), სადაც მითითებული იქნება ფონდის მიერ კონკრეტული პროექტისთვის მინიჭებული შიფრი.

დ) იმისათვის, რომ გამარჯვებულ აპლიკანტებს გაუფორმდეთ ხელშეკრულება და გადაერიცხოთ საგრანტო თანხა, მათ უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე წარსადგენი მოხსენების მიწვევისა და პროგრამაში ჩასმის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი 2017 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით. მობილობის გრანტის გამარჯვებულებმა უნდა წარმოადგინონ მოწვევის ქართული თარგმანიც, დამოწმებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით.
2. საბანკო ანგარიში, სადაც ჩაირიცხება საგრანტო თანხა.

ე) დოკუმენტაციის არასრულად ატვირთვის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია არ განიხილოს შესაბამისი საკონკურსო განაცხადი.

ვ) ფონდი იტოვებს უფლებას მოხსნას კონკურსიდან საგრანტო პროექტები:

- ა) რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას;
- ბ) რომელიც არ შეესაბამება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებსა და ფორმებს;
- გ) რომელსაც არ ერთვის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროექტზე დასართავი დოკუმენტაცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში არ იქნება წარდგენილი ფონდში.

ზ) ფონდი იტოვებს უფლებას, გამოითხოვოს კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირისაგან დამატებითი ინფორმაცია.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადები

ა) კონკურსში განაცხადების ელექტრონული რეგისტრაციის ვადებია 2017 წლის 26 ივნისიდან 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით (თბილისის დროით 16:00 საათამდე), ელექტრონულ ფოსტაზე: mgtravel@rustaveli.org.ge

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში განაცხადების საკანცელარიო რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2017 წლის 26 ივლისის (თბილისის დროით 16 საათამდე).

გ) ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები საკონკურსოდ არ განიხილება.

მუხლი 4. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტის პირობები

1. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტი გულისხმობს საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებას კონფერენციის, სეზონური სკოლის ან კომბინირებული ღონისძიების (სეზონური სკოლისა და კონფერენციის ერთდროულად ორგანიზება) სახით.

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება მიზნად ისახავს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებას, პოპულარიზაციასა და მეცნიერებაში ახალი კადრების მოზიდვას.

2. სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისათვის გაიცემა მხოლოდ ინსტიტუციური გრანტი. გრანტის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილეობა შეუძლია წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტის ძირითად პერსონალთან ერთად; იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილე ორგანიზაცია საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირია, ის ვერ იქნება გრანტის მიმღები.

ბ) დაფინანსება გაიცემა იმ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის, **რომლებიც დაგეგმილია 2017 წლის 10 სექტემბრიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

გ) პროექტს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი წამყვანი ორგანიზაციიდან, ხოლო თანამონაწილე ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში, პროექტს უნდა ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, რომელიც არის ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი.

დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ფარგლებში ფიზიკურ პირებს პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორისა და თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტატუსით შეუძლიათ მხოლოდ ერთ პროექტში მონაწილეობა.

ე) სეზონური სკოლის ხანგრძლივობა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 30 კალენდარულ საათს. კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, სეზონური სკოლის ხანგრძლივობა, ასევე, მინიმუმ 30 კალენდარულ საათს უნდა შეადგენდეს.

ვ) პროექტს შეიძლება ჰქონდეს თანადაფინანსება (დამატებითი ფინანსური წყარო), რაც გულისხმობს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას.

3. პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია

პროექტში მონაწილეობა შეუძლია:

ა) წამყვან ორგანიზაციას – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირს, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელსა და სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

ბ) თანამონაწილე ორგანიზაციას – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს და პროექტის სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში, თუმცა ის ვერ იქნება გრანტის მიმღები.

4. პროექტის პერსონალი

პროექტში ჩართული ფიზიკური პირები ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ამოცანებს ძირითადი ან დამხმარე პერსონალის სტატუსით.

პროექტის ძირითად პერსონალს შეადგენენ:

ა) პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; საკონფერენციო ან კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, აგრეთვე კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები და კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

ბ) პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განახორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

გ) პროექტის კოორდინატორი შეიძლება იყოს საქართველო მოქალაქე ფიზიკური პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო საკითხებზე და არის საკონტაქტო პირი ფონდთან;

დ) პროექტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელია და კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებასა და განხორციელებას პროექტის ხელმძღვანელთან ერთად;

ე) პროექტის დამხმარე პერსონალს შეადგენენ პირები, რომლებიც ჩართული არიან ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

ვ) კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების სამეცნიერო შინაარსზე;

ზ) კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის ორგანიზებაში.

5. პროექტის დაფინანსება და ბიუჯეტი

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტით დაფინანსება გულისხმობს პროექტის სრული ან ნაწილობრივი ხარჯების დაფარვას, რაც განსაზღვრულია პროექტის ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით.

ბ) გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცხება პროექტის ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილ თანხის ოდენობას გამოკლებული ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 1/4). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდებში წარდგენისა და ფონდის მიერ შესაბამისი განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

გ) საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტებისათვის სეზონური სკოლებისა და კონფერენციის შემთხვევაში ერთი პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 45 000 ლარს, ხოლო კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში (სეზონური სკოლა და კონფერენცია ერთობლივად) - 60 000 ლარს.

დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტების ფარგლებში პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგი სახის ხარჯვით კატეგორიებს:

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
3. საქონელი და მომსახურება;
4. ზედნადები ხარჯები.

ე) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დასაშვები ბიუჯეტის მაქსიმალური ოდენობის 35%-ს.

ვ) ზედნადები ხარჯების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დასაშვები ბიუჯეტის მაქსიმალური ოდენობის 5%-ს.

ზ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში გაწერილი ძირითადი ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (ამ ბრძანების დანართი № 9)

თ) დაუშვებელია შრომის ანაზღაურების გაცემა „საქონელი და მომსახურების“ და „ზედნადები ხარჯების“ ხარჯვითი კატეგორიებიდან.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტის მამიებელმა არაუგვიანეს **2017 წლის 26 ივნისიდან 2017 წლის 24 ივლისის 16:00 საათამდე (თბილისის დროით)** უნდა გამოაგზავნოს პროექტის სრული პაკეტი ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: ise@rustaveli.org.ge ;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში განაცხადების **საკანცელარიო რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2017 წლის 26 ივლისი, თბილისის დროით 16:00 საათამდე.**

გ) ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები საკონკურსოდ არ განიხილება.

დ) კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში წარსადგენი საკონკურსო დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ნაწილი პირველი – პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტები:

ა) პროექტის თავფურცელი და პროექტის აბსტრაქტი;

ბ) საპროექტო წინადადება;

გ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროექტის ძირითადი პერსონალისა და ძირითადი და პლენარული მომხსენებლ(ებ)ის/ლექტორ(ებ)ის პროფესიული ბიოგრაფია.

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან უცხოეთში მოღვაწე ძირითადი და პლენარული მომხსენებლ(ებ)ის/ლექტორ(ებ)ის დაინტერესების წერილი (წერილის დედანი და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ) პროექტში მონაწილეობაზე.

ე) პროექტის ბიუჯეტი და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი;

ბ) ნაწილი მეორე – პროექტზე თანდართული დოკუმენტები:

ა) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის თანხმობის წერილი (Letter of Commitment). თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითადი პერსონალის მოქმედი პირადობის მოწმობისა და განათლების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების დასკანირებული ასლები;

გ) პროექტის წარმომდგენი, საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაცემული 2017 წელს და წესდება. სსიპ-ების შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდის აღნიშვნა პროექტის თავფურცელში;

დ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი თანხის მითითებით, თანადაფინანსებლის მიერ ხელმოწერილი და დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. უცხოური ორგანიზაციის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ე) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ერთობლივი პროექტების შემთხვევაში) მხარდაჭერის წერილი (Letter of Support) პროექტში თანამონაწილეობის შესახებ. მხარდაჭერის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, ორიგინალისა და თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ვ) პროექტის წარმომდგენი იურიდიული პირ(ებ)ის „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 8) წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში, დადასტურებული წამყვანი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით და პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით, ხოლო ერთობლივი პროექტების შემთხვევაში - აგრეთვე თანამონაწილე ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით და პროექტის თანახელმძღვანელის ხელმოწერით, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული პროექტისთვის ფონდის მიერ მინიჭებული შიფრი.

ვ) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ორგანიზაცი(ებ)ის საბანკო ანგარიში/სახაზინო კოდი, სადაც ჩაირიცხება საგრანტო თანხა.

ზ) ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც შეიცავს არასრულ, ყალბ ან დადგენილი ფორმების დარღვევით წარმოდგენილ ინფორმაციას.

7. დამატებითი მოთხოვნები

ა) პროექტში ჩართული უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან უცხოეთში მოღვაწე საქართველოს მოქალაქე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირ(ებ)ი, რომელიც:

1. კონფერენციის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი ან პლენარული მომხსენებლ(ებ)ის სტატუსით;
2. სეზონური სკოლის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს მოწვეული ლექტორ(ებ)ის სახით;
3. კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყვნენ ძირითადი ან პლენარული მომხსენებლ(ებ)ის, ხოლო სეზონური სკოლის ფარგლებში - მოწვეული ლექტორ(ებ)ის სახით.

ბ) გრანტის მიმღები ვალდებულია შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს, ან შესაბამის ბმულს წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდზე სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია ღონისძიების შესახებ, ღონისძიების მიზნების, თემების, ჩატარების დროისა და ადგილის, მონაწილეებისა და სამიზნე აუდიტორიისათვის საინტერესო ინფორმაციით. ვებგვერდის შექმნა და ადმინისტრირება არ ფინანსდება საგრანტო სახსრებით.

გ) პროექტის დასრულების შემდგომ, საჭირო კონფერენციის ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს კონფერენციის აბსტრაქტებისა და მოხსენებების კრებული ინგლისურ ენაზე.

დ) ღონისძიების ვებგვერდზე და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდო, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ პროექტი განხორციელდა ფონდის მხარდაჭერით.

ე) ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ნებისმიერ სექციას, გამოსვლას, ლექციას, გახსნის ან დახურვის ცერემონიას და ა.შ.

ვ) ფონდი იტოვებს უფლებას, გრანტის მიმღებთან მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

კონკურსის განრიგი და ვადები:

- ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - **2017 წლის 22 ივნისი**;
- ბ) ჯგუფური კონსულტაციები: 1) **2017 წლის 29 ივნისი, 16:00 სთ.** 2) **2017 წლის 6 ივლისი, 16:00 სთ;** 3) **2017 წლის 17 ივლისი, 16:00 სთ (თბილისის დროით);**
- გ) შეკითხვების ელექტრონულად გამოგზავნის ბოლო ვადა **2017 წლის 19 ივლისი.**
- დ) კონკურსზე ელექტრონული რეგისტრაციის ვადა - **2017 წლის 26 ივნისიდან 24 ივლისის 16:00 საათამდე (თბილისის დროით);**
- ე) პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების ან იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ წარდგენა ფონდის კანცელარიაში - **2017 წლის 26 ივლისის 16:00 საათამდე (თბილისის დროით);**
- ვ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება - **2017 წლის სექტემბერი.**

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა

1. ფონდში წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა ხდება ფონდის მიერ ამ კონკურსის დებულებისა და პირობების მიხედვით.
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში:

- ა) მობილობის გრანტის შემთხვევაში მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის თანდართული დოკუმენტების არასრულად ან დადგენილ მოთხოვნებთან (ვადები, წესი, ფორმატი, და ა.შ.) შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;
- ბ) ფონდი შეამოწმებს პროექტის სუბიექტების შესაბამისობას კონკურსში მონაწილეობის პირობებთან, რომელიც მობილობის შემთხვევაში გათვალისწინებულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით. შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს;
- გ) მობილობის გრანტის შემთხვევაში კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტების არასრულად, ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან შეუვსებლობის, ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს;
- დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში, ტექნიკური ექსპერტიზის დროს, ფონდი განახორციელებს წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტის (დანართი 13-ის პირველი გვერდი) შესაბამისობის შემოწმებას კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების მიხედვით. აგრეთვე, მოხდება ბიუჯეტის ფორმაში მოცემული თანადაფინანსების ოდენობის შედარება წარმოდგენილ თანადაფინანსების ცნობასთან.
- ე) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში, ტექნიკური ექსპერტიზის დროს, ფონდი განახორციელებს წარმოდგენილი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის დანართის (დანართი 13-ის მესამე გვერდი) შესაბამისობის შემოწმებას კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით.
- ვ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში, ტექნიკური ექსპერტიზის დროს, აგრეთვე, ფონდი განახორციელებს წარმოდგენილი ბიუჯეტის (დანართი 13-ის პირველი გვერდი), პროექტის ბიუჯეტის დასაბუთების (დანართი 13-ის მეორე გვერდი), პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის (დანართი 13-ის მესამე გვერდი) შემოწმებას. შესაბამისი დანართის გვერდების შეუვსებლობის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს;
- ზ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შემთხვევაში, ტექნიკური ექსპერტიზის დროს, პროექტში მონაწილე ფიზიკური პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის განხილვა მოხდება საპროექტო წინადადებაში ასახული (დანართი 5) პროექტის ძირითადი პერსონალისა და ღონისძიებაში მონაწილე ძირითადი და პლენარული მომხსენებლების/ლექტორების ვინაობების მიხედვით. შეუსაბამობის აღმოჩენის ან წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შინაარსობრივ დოკუმენტებთან მიმართებით, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს, ხოლო პროექტზე თანდართულ დოკუმენტებთან მიმართებით, ფონდი იმოქმედებს კანონის შესაბამისად.
3. ტექნიკური ექსპერტიზის დასასრულს, ფონდი გამოაქვეყნებს შუალედურ შედეგებს კონკურსიდან მოხსნილი პროექტების შესახებ, ხოლო საკონკურსო პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები გადაიგზავნება შესაფასებლად.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კომისიას ქმნის, კომისიის სხდომას იწვევს და კომისიის მუშაობის წესს ადგენს ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისია პროექტების შეფასებისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და შეფასების კრიტერიუმებით.
3. კომისია განიხილავს და აფასებს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს და ადგენს რანჟირებულ სიებს.
4. მობილობის გრანტის შემთხვევაში, კომისია ადგენს ორ რანჟირებულ სიას, ცალ-ცალკე ახალგაზრდა მეცნიერთათვის და სხვა მონაწილე სუბიექტებისათვის.
5. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტის შემთხვევაში, კომისია ადგენს სამ რანჟირებულ სიას, ცალ-ცალკე კონფერენციებისათვის, სეზონური სკოლებისათვის და კომბინირებული

ლონისძიებებისათვის; კომისია გასცემს რეკომენდაციას, რომლის მიხედვით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა გადანაწილდება კონფერენციებზე, სეზონურ სკოლებსა და კომბინირებულ ღონისძიებებზე ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

6. მობილობის პროექტების შეფასებისას, ორ ან მეტ პროექტზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პირველ კრიტერიუმში.

7. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორ ან მეტ პროექტზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პროექტის შეფასების პირველ კრიტერიუმში – ღონისძიების სამეცნიერო ხარისხში, შემდეგ კი მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

8. რანჟირებული სიების მიხედვით, გამოვლინდება საუკეთესო პროექტები და დასამტკიცებლად წარედგინება ფონდის გენერალურ დირექტორს.

9. ფონდის თანამშრომელი შესაძლებელია იყოს კომისიის წევრი ხმის უფლების გარეშე.

10. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოიწვიოს ექსპერტი.

11. დაუშვებელია კომისიის წევრი იყოს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანებით დადგენილი წესის მე-9 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულებების გაფორმება

გამარჯვებულ კონკურსანტებთან ფონდი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებითაც განისაზღვრება ფონდსა და გრანტის მიმღებებს შორის ურთიერთვალდებულებათა დეტალები.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის დასრულების შემდგომ, 20 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფინანსური და პროგრამული ანგარიშები.

2. გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

4. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს გრანტის მიმღების მიერ, საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

5. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

6. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება შესაბამის ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება ფონდის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას დარჩენილი გაუხარჯავი თანხა, რომელიც უნდა დაბრუნდეს სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებისა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ:
 - ა) მოხდა შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში, გაუქმდა მისი ავტორიზაცია;
 - ბ) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.
3. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები დარეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.
4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში, ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე ფონდში წარდგენილია შესაბამისი ანგარიშები, წარდგენილ ანგარიშებზე ფონდის მიერ შედგენილია ანგარიშების განხილვის და შედარების აქტები.
5. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის მიხედვით შესაძლებელია, ე.წ. „შავ სიაში“ მოხვედრილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს შეეზღუდოს დროის გარკვეული პერიოდით ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება.

მოხილობის გრანტი

მოხსენების სახელწოდება	
განმცხადებელი პირის სახელი, გვარი	
ძირითადი სამეცნიერო მიმართულება ¹	
სამეცნიერო ქვემიმართულება ²	
ტელეფონის ნომერი	
ელ. ფოსტა	

პროექტის აბსტრაქტი³

(არაუმეტეს 5000 სიტყვისა)

¹ მიუთითეთ ძირითადი სამეცნიერო მიმართულების კოდი და დასახელება

² მიუთითეთ სამეცნიერო ქვემიმართულების კოდი და დასახელება

³ წარმოადგინეთ ქართულად

დანართი №3

დამტკიცებულია

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის

გენერალური დირექტორის

2017 წლის 22 ივნისის № 78 ბრძანებით

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის

პროექტის თავფურცელი და აბსტრაქტი

ინფორმაცია პროექტის შესახებ ¹

სეზონური სკოლა/კონფერენცია/კომბინირებული ღონისძიება ²				
სახელწოდება ქართულად				
სახელწოდება ინგლისურად				
სამეცნიერო მიმართულებები (მაქსიმუმ სამი)	1. 2. 3.			
ჩატარების პერიოდი	დაწყების თარიღი		დასრულების თარიღი	
ჩატარების ადგილი				
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)				
თანადაფინანსება (ლარი)				
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)				

პროექტის ხელმძღვანელი

სახელი, გვარი			
სამეცნიერო ხარისხი		თანამდებობა	
პირადი ნომერი		ვებგვერდი	
ტელეფონი		ელ. ფოსტა	
მისამართი			

წამყვანი ორგანიზაცია

სრული სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო №	
მისამართი	
ვებგვერდი	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	

¹ გამოიყენეთ შრიფტი Sylfaen, ზომა 11, დაშორება "single".

² დატოვეთ მხოლოდ პროექტის შესაბამისი ღონისძიების ტიპის სახელწოდება

ტელეფონი		ელ. ფოსტა	
----------	--	-----------	--

თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სრული სახელწოდება			
საიდენტიფიკაციო №			
მისამართი			
ვებგვერდი			
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი			
ტელეფონი		ელ. ფოსტა	

პროექტის აბსტრაქტი (ქართულად, არაუმეტეს 500 სიტყვა)

პროექტის აბსტრაქტი (ინგლისურად არაუმეტეს 400 სიტყვა)

მობილობის გრანტის

Curriculum Vitae

აპლიკანტის პროფესიული ავტობიოგრაფია

სახელი, გვარი / First name, Surname	პირადობის ნომერი ID number
ტელეფონი Telephone	
ე-ფოსტა e-mail	დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
ვებგვერდი Webpage	Date of Birth (D/M/Y)

1. განათლება - Education

№	წლები Years	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება Name of University/Institute, Country	აკადემიური ხარისხი Academic Degree	სპეციალობა Major / Specialty
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება - Work Experience

№	წლები Years	თანამდებობა Position	დეპარტამენტი/განყოფილება Department / Unit	ორგანიზაცია Organization
1				
2				
3				
4				
5				

